

ყვარლის მუნიციპალიტეტის რელიეფის გეოეკოლოგიური შეფასება

მარიამ ბუცხრიკიძე

ელ-ფოსტა: Mariami.Butskhrikidze293@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი 0179, საქართველო

ბოლო ასწლეულში, ბუნებრივი ტერიტორიების ათვისების და ანთროპოგენური ტრანსფორმაციის მასშტაბების ზრდის პარალელურად ბუნებრივი კატასტროფებისგან მოსახლეობის დაცვა და ინფრასტრუქტურული ობიექტების უსაფრთხო ფუნქციონირება გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გეოეკოლოგიური პრობლემა. ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის ბოლოს, როდესაც ერთის მხრივ კლიმატის გლობალური ცვლილებებისა და მიწისძვრების გააქტიურების საერთო ფონზე და მეორეს მხრივ ადამიანის ფართომასშტაბიანი საქმიანობის (ხშირად წინდაუხედავი) პრესინგის პირობებში, სტიქიური კატაკლიზმებისაგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები სულ უფრო შეუქცევად ხასიათს იღებს. საქართველოში, რომლის ტერიტორიის 76%-მდე მთიან რელიეფს უკავია, ადამიანის საქმიანობა მიმდინარეობს სტიქიური პროცესებისადმი უკიდურესად მგრძობიარე გეოგრაფიულ გარემოში და მისი გეოეკოლოგიური გართულებები კრიზისულ მდგომარეობამდეა მისული.

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება ყვარლის მუნიციპალიტეტს, რომელიც გამოირჩევა გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და კლიმატური პირობებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო პერიოდში გააქტიურებული სხვადასხვა სტიქიური პროცესები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო

სავარგულების ფართობების შემცირება, ეროზიული და ღვარცოფული პროცესების განვითარება, წარმოადგენენ სწორედ ერთ-ერთ ნათელ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ადამიანის უხეშმა და არასწორმა ჩარევამ ბუნებრივ გარემოში და ასევე, ანთროპოგენური ტრანსფორმაციის გაძლიერებამ გამოიწვიოს გეოეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება.